წლიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

შაბათი 7 ნოემბერი 1922 წ.

№ 137 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 137

დღეს შესრულდა ხუთი წლიწადი, რაც რუსეთის მშრომელმა ხალხმა ოქტომბრის რევოლიუციით მირს დაამხო ტირანობა მუქთახორა კაპიტალიზმის და ააფრიალა წითელი დროშა.

ხუთი წელი ებრძოდა ის შინაურ თუ გარეშე კონტრრევოლიუციას და დროშაც თავის სისხლით შეღებილი გამარჯვებით გამოიტანა სამშვიდობოს.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსა ინტენსიურად იბრძვის შრომის ფრონტზე, რითაც ამტკიცებს თავის მდგომარეობას, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ სფეროებში.

## ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე.

დღევანდელი დღე—უდიდესი დღესასწაულია საერთაშორისო მუშათა კლასისთვის.

დღეს შესრულდა ხუთი წელიწადი, რაც უზარმაზარ რუსეთის მრავალ-ტანჯულმა პროლეტარიატმა, ამაყად ააფრიალა აჯანყების დროშა და დაამხო რა, მთელ რიგ სისხლის მღვრელ შეტაკებებში უსასტიკესი მტერი კაპიტალიზმი, თვით მოჰკიდა სახელმწიფო მართვა-გამგეობას ხელი.

ამნაირათ, ჯერ კიდევ პირველად მსოფლიოს ისტორიაში, შეიქმნა დიდი ვეებერთელა მუშათა სახელმწიფო დედამიწაზე.

მაგრამ, პეტროგრადში და მოსკოვში დამარცხებულნი მუქთა-ხორები, ეგრე ადვილად არ დანებდნენ რევოლიუციას და შემოიკრიბეს რა, თავის გარშემო მშრომელი ხალხის ყველა მტრები და მჩაგვრელები, გაილაშქრეს რევოლიუციონურ პროლეტ. წინაამდეგ:

კორნილოვი, ალექსეევი, კრასნოვი, დონსკოი, კალედინი, სკოროპადსკი, კოლჩაკი, იუდენიჩი, მახნო, პეტლიურა, დენიკინი, ვრანგელი და სხვა კიდევ ბევრი, აი ის სისხლიანი რაინდები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ამ გალაშქრებას, მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსების თავგანწირულ ბრძოლებით ყველანი სასტიკათ იქმნენ დამარცხებულნი და განადგურებულნი.

მათი დამარცხებით საბჭოთა რესპუბლიკებმა დაამარცხეს დასავლეთი ევროპის ის სახელმწიფოებიც, რომლებიც უსასტიკესი მტრები იყო მისი და რომლებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს შინაურ კონტრ-რევოლიუციის გაღრმავებას...

სამხედრო ფრონტიდან გამარჯვებით გამოსული საბჭოთა მთავრობა დაუყონებლივ გადავიდა მეორე. არა ნაკლებ მნიშვნელოვან—შრომის ფრონტზე და ენერგიულად მოჰკიდა აღმშენებლობით მუშაობას ხელი.

ორი წელია, რაც ის ინტენსიურად მუშაობს ამ ახალ ფრონტზე და თავის მდგომარეობას, როგორც ეკონომიურს, ისე პოლიტიკურს სფეროებში თვალსაჩინოთ ამტკიცებს.

დღეს კი, ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე, საბჭ. რესპუბ. მუშათა კლასი ზეიმობს ამ თავის უდიდეს გამარჯვებას.

დღეს, ვეებერთელა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსა და გმირული წითელი არმია, ამაყად გამოდის ქუჩებში და თავის რევოლიუციონურ სიმღერებით და ურიცხვ წითელი დროშის მაღლა ფრიალით ამცნობს მთელ ქვეყანას, თუ რა დიდია მისთვის ოქტომბრის რევოლიუცია და მისი ხუთი წლის თავი.

დღეს ყველა მტერი, როგორც შინაური, ისე გარეშე, დაინახავს თავის უიმედობას, უსასოობას და მწარე ბრაზად გადაქცეული უაზროთ დაიწყებს თვალის ცეცებას.

სამაგიეროდ კი, ყველა მშრომელის გული, როგორც რუსეთში, ისე საზღვარ გარეთ აივსება უსაზღვრო სიყვარულით და აღტაცებით, და კიდევ უფრო გაბედულად შეუდგება თავის ბედის თავისივე ხელით გამოჭედვას.

დიადია დღევანდელი დღე და ჩვენი ქართველი წითელი არმიელებიც დიადათ შევხვდებიან მას.

დეე, დაინახოს ყველა ხალხის მტრებმა და ორგულებმა, თუ რა ძვირფასია ჩვენთვის ოქტომბრის რევოლიუცია და მისი ყოველი წლის თავი.

დეე, გულს უგმირავდეს მათ ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებით გამოწვეული ფართო მასსების აღტაცება და ენტუზიაზმი.

ჩვენ კი ამაყათ გავსწიოთ ჩვენს ძმა მუშებთან ერთად და უმღეროთ ქებათაქება ამ უდიდეს რევოლიუციას.

უდიდესი მოვლენაა ის მსოფლიოში და ჩვენც შევფიცოთ მას, რომ სიკვდილამდის დამცველი ვიქნებით მის მონაპოვართა...

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას და მის მებაირახტრეს—მესამე კომინტერნს.

## წითელი დღესასწაული.

5 წლის განმავლობაში საბ. რესპუბ. მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა თავგანწირული ბრძოლებით დაიცვა შრომის უფლება მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ წარმოებულ უსასტიკეს იერიშებისაგან. ხუთი წლის განმავლობაში სისხლისაგან იცლებოდა საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და მშრომელი გლეხები სამოქალაქო ომის ქარცეცხლის გამო, მაგრამ მაინც შესძლო დაეცვა საკუთარი ხელისუფლება და შესდგომოდა მუშური სახელმწიფოს მშვიდობიან აღმშენებლობას...

მუშათა კლასმა, რომელიც პირველად შეუდგა თავის ცოდნით და გამჭრიახობით, ისტორიაში ჯერ არ ნახულ, მუშურ სახელმწიფოს აშენებას, ცხადია მისი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები იქნებოდა შეცდომებით სავსე, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მუშათა კლასი ეჩვეოდა შემოქმედებით მუშაობას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ყოველ დარგში და ეხლა შეგვიძლია გულდამშვიდებით ვაღიაროთ, რომ მუშათა კლასი მშვენივრად შესძლებს თვის სახელმწიფოს აშენებას.

მან ისეთი ორგანიზაციული ნიჭი გამოიჩინა აღმშენებლობაში, რომ შესძლო ამუშავებინა სახელმწიფოში არსებული ყოველი ცოცხალი ძალები და მიეცა ტონი მუშური სახელმწიფოს ფორმის და შინაარსის გამომუშავებაში.

კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლებული პროლეტარიატი ღირსეულად განაგრძობს სოციალისტური აღმშენებლობის მეთაურობას, მაშინ, როდესაც რეაქციონური მსოფლიო ბურჟუაზია ვერ ახერხებს თავისი მეურნეობის კრიზისის შეჩერებასაც კი, ამ დროს თავისუფალი შემოქმედი პროლეტარიატი თავის სრულიად გაპარტახებულ მეურნეობას შესამჩნევად ფეხზე აყენებს და იძლევა უდიდეს იმედებს, რომ ახლო მომავალ დროში ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს.

ასეთი მდგომარეობა გასაკვირიც არ არის. ბურჟუაზია რეაქციონურ ბუნების მატარებლათ შეიქნა თანამედროვე პირობებში. მის ბატონობას სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს. ამას ბრძანებს ისტორიული აუცილებლობა. ხოლო პროლეტარიატი—ეს პროგრესიული დანიშნულების ფაქტორია ცხოვრებაში. აი ეს არის უმთავრესი ამხსნელი მიზეზი იმისა, რომ პროლეტარიატი თავის მეურნეობას აუმჯობესებს, ხოლო ბურჟუაზია კი თავისი პოლიტიკით დღითი დღე უფსკრულისაკენ მიაქანებს.

მთელი მსოფლიო მშრომელი კლასი დღეს აღფრთოვანებით ეგებება ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავს. ის ასწილათ გამხნევებულია თავიანთ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ის სამეურნეო და სამხედრო ფრონტებზე გამარჯვებებით, რომელიც მოიპოვა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელმა კლასმა.

დღეს ყველა მშრომელის გული ხალისობს წითელ ოქტომბრის მოგონებით ხოლო რეაქციონური ბურჟუაზია კი თრთის მისი სიკვდილის მოახლოვების გამო.

გაუმარჯოს მშრომელთა დღესასწაულს?!

გაუმარჯოს განახლებულ მუშურ მსოფლიოს.

პ. ხ.

## ხუთი წლის თავზე

დიდხანს იტანჯებოდნენ მძიმე უღელში.

დიდხანს აწამებდნენ და უგლეჯდენ მათ შანთებით სხეულს.

დიდხანს ვარჯიშობდნენ მათზე სისხლიან ნიკოლოზის ჟანდარმერიის ხიშტები და მათრახები.

ბევრ მათგანს მოუსპეს დღე ტყვიებით და სახრჩობელებით.

ბევრი ჩაალპეს ციხეებში.

ბევრის ძვლები ეხლაც მემატიანობს ციმბირის სუსხიან ტუნდრებში და ველ მინდვრებში.

გულშემზარავი იყო ჯალათობა სისხლიან მეფის. მაგრამ...

ეს ვერ აკრთობდა გაკაჟებულ მებრძოლთა გულებს...

მათი რწმენა—ცეცხლის ალი იყო...

მათი იმედი—კი აღტაცება...

და იბრძოდნენ ისინი თავგანწირულთ—შეუდრეკლად, გოლიათურად და... აღსრულდა.

ოქტომბრის თვეში ბოლო მოუღეს შხამიან ასპიტს... მოსპეს, გასრესეს და მის მაგიერ სხივები სტყორცნეს ყველა კუთხეს თავისუფლების. და აბობოქრდა დიდი, პატარა.

ყველა შესტრფოდა ცაში გაშლილ სისხლის ფერ დროშებს.

ყველა ლოცავდა ქარს ქუჩებში ცეცხლად ავარდნილს...

ხუთ-ქიმიან ვარსკვლავებს შესტრფოდა ყველა.

და ულოცავდნენ ერთი მეორეს მკვდრეთით აღდგენას, მაგრამ...

შავი გველები კვლავ იკრებდნენ თავის ძალებს.

შხამიან ენით ატმოსფერის დაიწყეს შხამვა.

და ასტყდა ისევ სისხლის მღვრელი წმიდა ბრძოლები.

გასწორებული ქონდა ფრთები ქარს და იბრძოდა ის დაუცხრომლად. სისხლში გასვრილი ეცემოდნენ გმირები ომის სამსხვერპლოებზე და მზის ღიმილით შორდებოდნენ ქვეყნიერებას, მაგრამ დიდი იყო რწმენა და აღტაცება.

დიდი იყო ცეცხლი გმირთა გულში გაჩაღებული და... საბოლოოდ დაემხო მტერი...

მტრების მძოვრები აფთრებს მისცეს მინდვრათ სათრევად.

ისტორიას კი მისცეს მათზე ხსოვნა საწყევლად.

და ააშენეს უზარმაზარი შრომის სამეფო.

დღეს შრომობს ყველა, შრომობს და ხარობს... დღეს ყველას ათრობს სისხლის ფერი წმიდა დროშები...

დღეს ყველა მღერის, მღერის აღგზნებით ჰიმნს სადიდებლად რევოლიუციის. ძრწოდე, მსოფლიოვ! სიბერით, რომ დახავსებულხარ.

გვწამს ეს დროშები, ეს ჰიმნები და ბრძოლის ხმები, შენც მალე ცეცხლად მოგედება და გადაგბუგავს.

პ.—ს.

---

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას და მის მებაირახტრეს— პროლეტარიატს და გმირულ წითელ ლაშქარს.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას და და მის შტაბს—მესამე კომინტერნს.

**გაუმარჯოს პირველსა და უდიდეს—ოქტომბრის რევოლიუციას, რომელიც მერცხალია საერთაშორისო ხანძარისა!**

---

## მოგონება სამოქალაქო ომიდან.

ცა ღრუბლების ქულებს იშორებდა, რომ დაეხედა დაბლა, სისხლით გაუმაძღარ დედამიწაზე იის თვალებით... ხეობაზე ქარი ხან რომელ მწვერვალს ეხეთქებოდა და ხან რომელს, ფრთა-აწყვეტილი. ბუმბერაზი მთები ამაყად აღმართულიყვნენ ფიროუზ.

გუმბათისკენ... ისინი ელოდნენ მზეს რომელიც ეხლა ღრუბლებსა ჰყავდათ ტყვედ.

ჩვენ მოვდიოდით დაღვრემილნი, დამარცხებულნი. ჩვენ მოვდიოდით ბრძოლით, ჩვენ, რომელნიც მოვსწყდით ჩვენს მთავარ ძალას, რომელიც ასტრახანის უდაბნოებისკენ იხევდა.

მოვდიოდით საქართველოს სამხედრო გზით, რომ თავი შემოგვეფარებინა აქ. უკან ფეხდაფეხ მოგვდევდა დენიკინის კაზაკთა რაზმი.

ო. რამდენი დაეცა იქ მაშინ ჩვენი ამხანაგი, პირზე ღიმილით, რომ, ოქტომბრის წითელ ტალღებში ამოვლებული დროშა მაინც გაიმარჯვებდა, ის დროშა, რომელიც ძლევა-მოსილ მოსკოვში ჯერ კიდევ ამაყად ფრიალებდა. მოვუახლოვდით დარიალს მოწინავე სადარაჯოზე შეგვაჩერეს. უთხარით ჩვენი ამბავი და მფარველობა ვსთხოვეთ ახალგაზრდა ლეიტენანტმა ფარულად ჩაიცინა და ტელეფონს მიაშურა. არ ვიცი შტაბიდან რა პასუხი მიიღო. ჩაამწკრივა თავისი პატარა რაზმი და იარაღის ჩამოხდის შემდეგ გადმოგვიშვა საზღვარზე.

არა დროს დამავიწყდება ის წუთი, როდესაც მოდარაჯე ქართველ ჯარისკაცებს უყურებდი. როდესაც გაიგეს: ბოლშევიკები ვიყავით, ყველას უხაროდა ყველა სცდილობდა ჩვენთან დალაპარაკებას, მაგრამ ვატყობდი, რომ ეშინოდათ უფროსის, თავისუფლად ვიგრძენი თავი. ხიდ გაღმით უკვე მოსჩანდენ დაწეულნი დენიკინელები რომელნიც თხოულობდენ ჩვენს გადაცემას, მაგრამ ლეიტენანტმა უარი უთხრა. საიდგანღაც ავტომობილით გაჩნდა ვიღაც პოლკოვნიკი წერეთელი, დარიალის მცველთ უფროსი. ო, აიქ დაიწყო ჩვენი დამცირება, ტანჯვა, გინება, ღრიალი. გაისნა ბრძანება ისტორიაში ჯერ გაუგონარი. თავის ნებით დანებებულთა მტერზე გადაცემულებზე. თვალთ დამიბნელდა. არავითარმა ჩვენმა მუდარამ მაზე არ იმოქმედა. შეგვაბრუნეს. მე უყურებდი თუ ხიდთან, როგორი სიხარულით ელოდენ დენიკინელნი ყვენს ხელში ჩაგდებას, მე უყურებდი თუ ჯარისკაცთ, როგორ აუცახცახდათ ტუჩები სიბრაზისაგან, პოლკოვნიკის ბრძნებაზე და რა ვნახეთ აღარა ხუმრობდა—რამდენიმე ამხანაგი გადავარდით ადიდებულ თერგში. აღარ მახსოვს, როგორ გავცურე. უკანიდან-კი მესმოდა სროლა. თერგის ღრიალში ისმოდა ჩვენი ამხანაგების ყვირილი, რომელნიც რითაც შეეძლოთ ეწინაღმდეგებოდენ კაზაკებს. ისინი დახვრიტეს. ო, რა გული დამწყდა ოდესაც მთიულეთისკენ თავის შესაფარებლა გზას გაუდექი... მაგრამ ოქტომბრის იმედი აქაცა, მქონდა... დღეს მეცა ვზეიმობ. გაუმარჯოს მას.

წ. არ. ხ. ბალ-ი

## სამოქ. ომი.



ხუთ წელს წითელი არმია
ებრძოდა ურიცხვ ურდოებს
და მშრომელთ თავის ძმად ნაფიცთ
უქმნიდა დროებს მყუდროებს.
იგი თავის წითელ ხიშტზე
მუდამ მწვადათ აგებდა მტერს

და ერთის მძლავრის მოქნევით
უბნელებდა იმათ დღეებს.
და ეხლა ჰხარობს სიამით,
ხუთი წლის თავზე ამაყად;
და გამარჯვების სიმღერა
გაისმის ყველგან ომახად.

# მარგარიტა.

**(ეპიზოდი სამოქალაქო ომიდან)**

გრიშა იყო დონის მცხოვრები ს. ჩირსიდან, რომელიც სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, მეტის მეტად ღარიბი, ყაზახის შვილი, რომელმაც უნივერსიტეტის კედლებში გაიცნო მშვენიერი მარგარიტა, რომელთაც შეუყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ დაქორწილება ვერ მოეხერხებიათ სიღარიბის თუ სხვა ცხოვრების პირობების გამო. 17 ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გრიშამ, როგორც კომუნისტურ პარტიის წევრმა ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა.

გრიშას ძალიან უყვარდა გლეხებში ცხოვრება და მათში პოლიტიკური მუშაობა. ასეც მოხდა მარგარიტასთან შეუღლდა და დაუბრუნდა თავის სოფელს სადაც შეუდგა პოლიტიკურ მუშაობას და ოჯახურ საქმიანობას.

2.

საღამოს 4 საათი იქნებოდა როცა გრიშა დაბრუნდა სახლში კომიტეტის სხდომიდგან და ცოლს გამოუცხადა პარტიული ამხ. მობილიზაციის ამბავი,— და დაღონდა მარგარიტა ტირილი დაიწყო.

—მარგარიტა ჩემო! სად არის შენი მხნეობა აკი შენ მეფიცებოდი, რომ შენც ჩემთან ჩადგებოდი ბრძოლის რიგებში თუ ამას მოითხოვდა საერთო საქმე?

და დღეს კი ასე დაღონდი: შენ უნდა შეიგნო ის მდგომარეობა, რომ მუშათა კლასი დღეს საფრთხეშია, მთელი რეაქცია თავის სიძლიერით ილაშქრებს მოპოვებულ თავისუფლების ფეხქვეშ გასათელად; მშრომელი ხალხი დღეს იარაღს იღებს ხელში და ამ დროს, რომ მე შინ ვიჯდე ეს ხომ იდეის ღალატი იქნება. ასე ჩემო, შენ დამშვიდდი მე არა მიშავს რა, მე ისევ ჩქარა დავბრუნდები გამარჯვებული, დიახ გამარჯვებული, სიამოვნებით განიმეორა ეს სიტყვა, და უფრო თავისუფალ და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგებით, —ამშვიდებდა მტირალე ცოლს და თავის მკერდზედ მიკრულ მარგარიტას უკოცნიდა ცრემლიან თვალებს. მარგარიტა ვერ მშვიდდებოდა, ის ტიროდა გულ ამოსკვნილი, მის გულში ორ-ნაირი ბრძოლა იყო: თავისუფლება და საყვარელი ქმარი.

—არა ჩემო გრიშა—მისუსტებულის ხმით დაიწყო მარგარიტამ,—ჩვენი წარსული უბედურება იყო. ტანჯვისა და წამების მეტი არა მახსოვს-რა ჩემს ახალგაზრდობაში და მომავალიც ვგრძნობ, რომ კარგს არის მიმზადებს.

მე უშენოთ ერთი წუთი სიცოცხლეც არ შემიძლია დარჩი ჩემთან...

ყოველივე ეს მოქმედებდა გრიშაზედ, მაგრამ თავს იმაგრებდა და ამშვიდებდა საყვარელ ცოლს.

3

მარტის 24 რიცხვი იყო სადგურ „ჩირსკაიში" იდგა თვალცრემლიანი მარგარიტა და ამშვიდობებოდა ქმარს—წითელ არმიელს, რომელიც სხვა ამხანაგებთან ერთად მიემგზავრებოდა ფრონტზედ.

თვეები გადიოდა საბრალო მარგარიტას არც ერთი წერილი არ მიუღია გრიშასაგან, მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა. ის ხედავდა როგორ ყოველ დღეობით მოყავდათ აუარებელი დაჭრილ დახოცილები „ჩირსკის" საავადმყოფოში.

ორი თვის ლოდინის შემდეგ მარგარიტამ გადასწყვიტა ისიც ჩარეოდა ამ საერთო სახალხო საქმიანობას და შესულიყო მოწყალების დათ.

4.

მშვენიერი მაისის დილა იყო. ჩირსკის მთავარ ლაზარეთის კარებთან სადაც მარგარიტა მსახურობდა ჩვეულებრივ ჩამწკრივებულიყო ოცამდე ურმები რომლებზედაც იწვნენ დაჭრილები. სანიტარები დიდ ფაცა-ფუცში იყვნენ.

—სულ რამდენი კაცია? შეეკითხა უფროსი ექიმი მომცილებელ სანიტარს.

—ის ოცდა ერთი.

მაშ თქვენ სათითაოდ ამოიკითხეთ დაჭრილები და ჩვენი სანიტარები მიიღებენ მათ—უთხრა ექიმმა და იქვე მდგომ სანიტარებს ანიშნა შესდგომოდნენ დაჭრილების მიღებას.

მარგარიტა ამ დროს ფარვანასავით დასტრიალებდა ურმებზედ მყოფ დაჭრილებს და ვის საყნოსებელ წვეთებს აწვდიდა და ვის წყალს.

—ივანე სავიცკი,—ის ოცი.—ამოიკითხა ბოხის ხმით სანიტარმა სიიდან და უკანასკნელი ურემიც მიგორდა ლაზარეთის კარებთან.

—ერთი და დარჩა—ამოიძახა კვლავ სანიტარმა—გრიშა ვილკოვი.

ამ სიტყვის გაგონებაზედ შეკრთა მარგარიტა. „გრიშა ვილკოვი" ნელის სიტყვებით განიმეორა მისმა ტუჩებმა თვალთ დაუბნელდა წაბარბაცდა და მიეყრდნო იქვე ხეს.

შემდეგ გონს მოსული გაექანა ურმისაკენ და შეჰყვირა გულ შემზარავი ხმით;

—გრიშა!!!

მაგრამ კომუნიზმისათვის ბრძოლის ველზე განგმირულ გრიშას აღარ ესმოდა.

**გოგიტო ციმბირელი.**

## სამოქ. ომის შემდეგ შრომის ფრონტზე.



აგუგუნდენ ქარხნები.
ხარობს თავისუფლება.
კაპიტალისტ-ბურჟუებს
ჩამოერთვათ უფლება.
ეხლა მუშა თვით არის
პატრონი თავის ვალის,
და მოქნეულ ურო[illegible]
შემქნელი მომავალის.
და ამ დასვენების ჟამს
ოღეს აღარ ომობენ;
თავხედ ბორბლის ტრიალში
ყველა შვებით შრომობენ.



გლეხი, დედა გუთნისა
ბელტსა-ბელტზე აგორებს;;
და ხორბალს თავის ნაშრომს
სიხარულით აგროვებს.
აღარ ჰყავს მემამულე
მოშორდა ძლივს იმ წყეულს;
ეხლა თავისუფალი
იმკის: პურს, ქერს, ანეულს.
დანგრეულ სახელმწიფოს
ომით,—წელილი აძლიოს
აღაშენოს ცოლ-შვილიც
გამოჰკვებოს.—**მტერთ ძლიერს.**

# განვლილ ხუთ წელს I.

**ოქტომბრის გადატრიალება.**

რუსეთის თებერვლის რევოლიუციამ სახელმწიფოებრივი საჭე მენშევიკებს გადასცა. მენშევიკ-ესერების ბურჟუაზიასთან შეთანხმებულმა პოლიტიკამ რუსეთის მუშებისა და გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა არა თუ გააუმჯობესა, არამედ კიდევ უფრო არამედ კიდევ უფრო გააუარესა.

რევოლიუციონური მუშები და მშრომელი გლეხობა პრაქტიკულათ დარწმუნდნენ მენშევიკ-ესერების მათ მიმართ მოღალატურ პოლიტიკის წარმოებაში და 1917 წ. 25 ოქტომბერს (ძველი სტილით) ბოლო მოუღეს მათ განუკითხავ ბატონობას და თვით აიღეს სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ხელში.

სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში გამოუცდელი, მაგრამ რევოლიუციონურ აქტივობაში გამობრძმენდილი, რუსეთის პროლეტარიატი უშიშრად შეუდგა მუშური სახელმწიფოს აშენებას.

**სამოქალაქო ომი.**

ოქტომბრის რევოლიუციის ძლევამოსილებამ სულ ორიოდე თვეში მოიარა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორია და ყველგან საბჭოთა ძალა-უფლება დაამკვიდრა.

რუსეთის ბურჟუაზია, როგორც ეკონომიურათ, ისე ორგანიზაციულად მეტად სუსტი იყო და ამისათვის ოქტომბრის რევოლიუციის განვითარებას ვერ გაუწია პირველ ხანებში საგრძნობი წინააღმდეგობა.

ნიკოლოზ მეფის ჯარში ოფიცრობა იყო უმთავრესათ გაზრდილი მონარქისტულ იდეებზე. სამხედრო კასტა წარმოადგენდა ასე თუ ისე საგრძნობ საწინააღმდეგო, კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციულ, ძალას რევოლიუციისათვის.

ამას თან ემატებოდა მენშევიკ-ესერების პარტიული ორგანიზაციები, რომელნიც მთელი თავიანთი ენერგიით ეხმარებოდნენ კონტრევოლიუციას.

ასე, რომ ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ პირველ ხანებში მხად იყვნენ გამოსულიყვნენ სამხედრო პირები და მენშევიკ-ესერები.

ეს ორი ჯურის მტრები მუშათა რევოლიუციისა, გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე, მაგრამ ერთსულოვან დაკავშირებულმა რუსეთის პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის რევოლიუციონურმა თავდაცვამ მათი კონტრევოლიუციონური წინააღმდეგობანი სათავეშივე მოსპო.

შემდეგ რუსეთის კონტრევოლიუციის ერთგულ დამცველად გამოვიდა მსოფლიო ბურჟუაზია, ვინაიდან მათ კარგათ ესმოდათ, რომ რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება ნიშნავდა ამავე დროს მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებას. ამისათვის იმათ არ დაიშურეს არც ცოდნა და არც მატერიალური სიმდიდრე რევოლიუციის ჩასაქრობათ. მოაწყვეს რუსეთში თავისი სამხედრო ქონებით და ფულით—დენიკინ-კოლჩაკ-იუდენიჩის და ვრანგელის სამხედრო კონტრევოლიუციონური ჯარები შეძლებულ ყაზახობისაგან. ამას თან ერთად გადმოასხეს თავიანთი ევროპიული ჯარებიც მურმანში და ოდესაში. ევროპიულმა ჯარებმა აღმართეს წითელი დროშები და რუსეთის მუშათა და გლეხთა წითელ არმიის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი განაცხადეს.

რაც შეეხება თვით რუსის გენერლების მეთაურობით შექმნილ კონტრევოლიუციონურ ჯარებს, ისინი 1919 წლის მიწურულში საბოლოოდ იქმნენ დამარცხებულნი ძლევა-მოსილ წითელი არმიის მიერ.

წითელ არმიის შემდეგ. მოუხდა ბრძოლა პოლონეთის რეაქციონურ პანების მტაცებლურ მადა ახსნილობის წინააღმდეგ. აქ წითელმა არმიამ აგრძნობინა პოლონეთის პანებს, რომ განთავისუფლებულ რუსეთის მშრომელი მასსის წინააღმდეგ ბრძოლა, მათთვის ხელსაყრელი არ არის.

წითელმა არმიამ ისეთი დამარცხება აგემა პოლონეთის რეაქციონერებს, რომ მის შემდეგ, მიუხედავათ ოპეკუნის—საფრანგეთის დიდი სურვილისა, მაინც ვერ გაბედა მეორეჯერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურის დაწყება...

რეაქციონურმა საფრანგეთმა შეადგინა პატარა ანტანტა, საბჭოთა რუსეთის დასავლეთ საზღვრებზე მყოფ პატარა სახელმწიფოებისაგან. დაავალა მათ, რომ შეერთებულათ დაეწყოთ სამხედრო მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ. ფინეთის ბურჟუაზიამ დაიწყო „კარელიის" ავანტიურით. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა ეს ავანტიურა სულ მოკლე დროში დაამარცხა და პატარა ანტანტის დანარჩენ წევრებმა კი წითელი არმიის შიშით ვერ გაბედეს ომის დაწყება.

პატარა ანტანტას დამლი დაემართა და ეხლა მათ მხრივ საშიშროებას საბჭოთა რესპუბლიკები არ უნდა მოელოდეს.

ოკუპაცია ციმბირში იაპონელების მიერ დიდი ხანია არსებობდა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ისიც განდევნილ იქნა ვლადივასტოკიდან და ყოფილი რუსეთის იმპერია სრულიად განთავისუფლებულია საბჭოთა ხელისუფლების მტრებისაგან, გარდა სახალინის კონძულის ნახევრისა და ბესარაბიის ტერიტორიისა.

სამოქალაქო ომი საბჭოთა რუსეთში სწარმოებდა ოქტომბრის გადატრიალებიდან თითქმის 1920 წ. მიწურულამდე.

1920 წლიდან დღევანდლამდე კი ჰქონდა ადგილი სამხედრო მოქმედებას მხოლოდ ფინეთის და იაპონიის წინააღმდეგ, რომელთაც არ ჰქონიათ ისეთი საშიში სახე საბჭოთა ხელისუფლებისათვის, როგორც ჰქონდა 1920 წლამდე წარმოებულ სამოქალაქო ომის ეპიზოდებს.

**სამხედრო კომუნიზმი.**

ოქტომბრის გადატრიალების მეორე დღიდანვე აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება სამი წლის განმავლობაში განუწყვეტელ თავდაცვითი ბრძოლას ბურჟუაზიის მიერ გაჩაღებულ სამოქალაქო ომში.

სამოქალაქო ომის დროს რუსეთის მუშურ მთავრობას არ ჰქონდა საშუალება, რომ ეწარმოებია დამშვიდებული რაციონალური სისტემით სამეურნეო მუშაობა.

სამხედრო მოქმედებაში მყოფ, ჯერ კიდევ მოუმაგრებელმა მუშათა მთავრობამ სასოფლო მეურნეობის წარმოება მიანდო გლეხებს, როგორც უნდოდათ ისე ეწარმოებიათ, ხოლო ფაბრიკა-ქარხნების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ჩამოართვა მათ ძველ მეპატრონეებს და გამოაცხადა ისინი სახელმწიფოს საკუთრებათ, მემამულეებს მიწები ჩამოართვა, გადასცა მშრომელ გლეხობას და გამოაცხადა მიწებზე საერთოდ, კერძო საკუთრების უფლების მოსპობა; მიწებიც სახელმწიფო კუთვნილებათ შეიქმნა.

მთელი სამოქალაქო ომის წარმოების დროს საბჭოთა რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნები მუშაობდენ განსაკუთრებით ფრონტისათვის; ამზადებდნენ სამხედრო მასალას და წითელ არმიისათვის ტანთსაცმელებს.

სამხედრო მასალები და ჯარის ტანთსაცმელების მომზადება ეს ის აუცილებელი მუშაობა იყო, რომლის უიმისოთ თავდაცვით ომს ვერ აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლება. ამისათვის მთელი გულისყური იყო მაშინ მიმართული ფრონტისაკენ და ჯარისაკენ.

რომ ჯარი და ფაბრიკის მუშები გამოკვებულიყვნენ საჭირო იყო პურის შოვა. მთავრობამ მიმართა გლეხობას პურისათვის და შეაძლია ფულის ნიშნები. პირველ ხანებში გლეხები პურს ფულზე ყიდდენ, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც ფულის ნიშნებით საქალაქო წარმოების პროდუქტები ვერ შეიძინეს, რადგან რუსეთი ეკონომიური ბლოკადის რკალით იყო გარსშემორტყმული ევროპის მიერ და თავისი ძალით შექმნილი საქონელი კი მოთხოვნილებას ოდნავათ ვერ აკმაყოფილებდა, უარი განაცხადეს ფულით პურის გაყიდვაზე.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობა მოითხოვდა პურის აუცილებლათ შოვას და რადგანაც გლეხებმა ნებით არ გაყიდეს პური, მაშინ სახელმწიფომ ძალა იხმარა გლეხების წინააღმდეგ, რომ შეეგროვ პროდუქტები ჯარის და მუშების შესანახათ. ამ მიზნით შემოიღო გაწერითი სისტემ (რაზვიორსტკა) გააწერდენ ამა თუ იმ სოფელს განსაზღვრულ ფუთს ხორბლეულს და მოაგროვებდენ მისი სპეციალური ექსპედიციები. ხშირად გლეხს უტოვებდენ ხორბალს იმდენს რამდენიც იყო მისი ოჯახის გამოსაკვებათ საჭირო მთელი წლის განმავლობაში და ზედმეტს კიართმევდენ. ამ ნიადაგზე ხდებოდა გლეხების მიერ მიწაში ხორბალის ჩაფლორის წინააღმდეგ მუშათა მთავრობა რასაკვირველია ღებულობდა სასტიკ ზომებს

გლეხი, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ ფსიხოლოგიის პატრონი დიდხანს ვერ შეეგუა პროლეტარულ რევოლიუციას. მან როგორც კი მიიღო მემამულეთა მიწები ამით დაკმაყოფილდა და შემდეგ ამ უფლების დაცვის აუცილებლობა კი არ ესმოდა. შემდეგ როდესაც თეთრგვარდიელები მოუბრუნდა და ზოგიერთ ტერიტორიაზე სადაც იმათ გაიმარჯვეს, ჩამოართვეს მიწები და ისევ მემამულეებს დაუბრუნეს, მაშინ კი მიხვდა გლეხი, რომ მუშებთან ერთად ბრძოლის გაგრძელება აუცილებელი იყო. ამის შემდეგ ხორბლის მოგროვება სოფლათ უფრო უმტკივნეულოთ ხდებოდა.

ასე რომ „სამხედრო კომუნიზმის" დროს სოფლად ხდებოდა უფასოთ გაწერის საშუალებით ხორბლის დაგროვება, რომელიც უფასოთვე ურიგდებოდა ჯარს, მუშებს და სახელმწიფო აპარატის მოხელეებს; ქალაქში სახელმწიფო თავის ხარჯზე ამუშავებდა ფაბრიკებს, დამუშავებულ პროდუქტებს ურიგებდა უფასოთ ჯარს მუშებს და მოხელეებს (ჩინოვნიკებს).

ერთი სიტყვით „სამხედრო კომუნიზმის" დროს ხდებოდა წარმოება და პროდუქტების დანაწილება სოციალისტურ ნიადაგზე. ეს საშუალება სამოქალაქო ომის დროს იყო აუცილებელი, რადგან მიტომაც შესძლო საბჭოთა მთავრობამ დაეძლია ის უამრავი დაბრკოლებანი, რომელიც მისი არსებობის გზაზე ელობებოდნენ.

**ახალი ეკონომიური პოლიტიკა.**

სამოქალაქო ომმა და ძალდატანებითმა პოლიტიკამ სამხედრო კომუნიზმისამ ისედაც დანგრეული რუსეთის მეურნეობა კიდევ უფრო გაანადგურა. სამხედ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცეცხლის ხმები.

**ვედრება ქარისადმი.**

2.

ქარო, ოქტომბრის ღამით დავამხეთ
ჩვენ ბოროტება დიდი რუსეთის...
ზღვა ავაღელვეთ გაბედვით და მხნეთ
მიწა დავხეთქეთ ცეცხლის ბურთებით...

დიდმა ქარხნებმა სისხლის დამდენნი
იცვნეს ბელადათ კაი-გრაკხები...
ახ, აღტაცება იყო რამდენი,
ახ, ვით ღელავდა თვით ცის თაღები.

დიდი მოსკოვის თუ პეტროგრადის
განწირულები—ლანდათ ქცეულნი
აქარიშხალდნენ გმირ ვოლოდარსკის
და ლენინ-ტროცკით გამოწვეულნი.

ქარო, დაჰქროდი მაშინ ხარხარით
და ეშაფოტებს აგებდი მთებზე...
გშვენოდა სისხლი მკერდზე გამხმარი
გიჟათ ფრთებ-გაშლილ ბარიკადებზე,

იბრძოდი მედგრად... იბრძოდი მედგრად...
ქარო, დაჰქროდი, ვით ანათემა. .
დაუნდობელი და ნემეზიდა
იყო ველური ტვინის ანთება...

და თვალ დასისხლულ სილუეტების
გესმოდა კვნესა უიმედობა...
ქარო, ტკბილია ეს მომენტები
მოსაგონებლათ ..

**პეტრე სამსონიძე.**

## დ ღ ე ს...

**(ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე).**

დღეს ოქტომბერი აფერადდა ბრძოლის ჰანგებით.
ამაყობს ქუჩა. ხარობს მიწა თავაზიანი
უჩუმრად იწვის ძველი სევდა ცეცხლის დანთებით
და აღტაცება ათრობს ყველას, ვით დღე მზიანი.

გმირთა რიგები ამშვენებენ ქუჩის სინაზეს...
ბრძოლის რვეული გადიშალა სისხლით ნაწერი
ამპარტავანი, ლურჯ ხალათა სდგას ტრიბუნაზე:
ჰხიბლავს პიტერი ათას ცხრაას ჩვიდმეტი წელი...

მუსიკის ხმები და აღგზნება. . დღე მხიარული...
წარსული ცრემლი ქცეულია ცეცხლის ვულკანათ
აზვირთულ ქუჩას ეხუტება აზრები რთული.
შრომის ოჯახი გარეთაა მჭექარე ზარათ.

დღეს არის ბრძოლა... ცეცხლს ელიან სასახლეები
მშრომელთა ჯარი... აქ ეცნობა მომავალ მცნებას...
ისევ ხანძარი... ღიმილია ქვაფენილების
ყველა მოელის ბუკის ხმაში აღფრთოვანების.

**ს, ბერიძე.**

## სურათი

**ოქტომბრის ღამიდან.**

ქალაქ ქუჩების
თვალუწვდენ მანძილში
ცეკვა ურჩების
ცეცხლოვან მანდილში

სიღრმეში ჩნდებიან
ფერმკრთალი ლანდები,
წუთებში ჰქრებიან
ყინულის ფანდები...

იფეთქა ცეცხლის ხმამ,
სადაფში ნადები
მტრის ჯანი დაიბნა
ქალაქის კალთებში...

გაშალა ცეცხლის ფრთამ
წითელი ფარდები,
სურვილი დაიწნა
ალისფერ სანთლებში...

ყუმბარის ნამტვრევით დატეხილ ჰაერში,
შეეთო სურნელი დამწვარი დენთისა;
სიწთლე შეიჰრა შავ-ფერულ მხარეში
ამშრა მდინარე ცრემლების წვეთისა...

სამხვერპლოს კოცონი მოირთო ჟინჟღილით,
გაეფდა ქუჩებში ცეცხლისა ენები,
ჰყრში დაჰქრიან მხნე მკერდის ყიჟინით,
ფრთა ცეცხლი ამაყი ფოლადის ცხენები...

სამხვერპლო იწირავს სიცოცხლეს წამებულს,
როს სცვივა რიგები ფერმკრთალი გუნდების
არ სთვლიან სიცოცხლეს რწმენისთვის წაგებულს,
ისმის მტვრევის ხმა დაჟანგულ ხუნდების...

**ალ. ჩხეიძე.**

## წითელ პეტერბურგში.

წითელ პეტერბურგს ნისლი აწვა ჩვეულებრივ,
და მოდიოდა ჩვენი რაზმი—მღეროდა მწკრივი.

ლეგა ქალაქი წითელ დროშის ზღვაში სცურავდა;
და თავ—აწყვეტილ ბრძოლის ცეცხლით პირს იბურავდა.

მეირყა, შიშით ანათრთოლი სასახლის გროვა;
და ჩვენ ვხაროდით, როს გვესმოდა იმათი გლოვა.

ბალტიკამ ზურგი შეიბერტყა ნევის ქუხილით
და ძველ მეოფლეომ დაიჩოქა მის წინ წუხილით.

იგონებს შვებით ოქტომბრის დღეებს-ყველა მოსპო ვით;—
და ეხლა ჰბაარობს მტერთა ზარ—მცემ წითელ მოსკოვით.

უყურებს თუ ვით, ძველ ქვეყნებმა დაიწყეს რყევა;
და ამაყი ხმით ამცნო ყველას თავისი ძლევა.

**სიუზერანი.**

## დღევანდელი ცნობები

**— 1-ლ ნოემბრიდან ოტომანის იმპერიის მაგივრათ გამოცხადებულია-ოსმალეთის სახელმწიფო.**

**— იტალიაში გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები იმყოფებიან მუქარის ქვეშ.**

**— ალბანეთში დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა. მთავრობა გაიქცა, მისი მომხრე ჯარებით ალყა-შემორტყმულია რევოლიუციონურ ჯარების მიერ.**

**— საბერძნეთის უმაღლესი სასამართლო ამ დღეებშ შეუდგება ყოფილ მეფე კონსტანტინეს და მისი მინისტრების გასამართლებას.**

## ახლო აღმოსავლეთის ამბები.

— სტამბოლში მყოფმა ანგორის მთავრობის წარმომადგენელმა გამიდ ბეიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქემალ-ფაშა დაჟინებით მოითხოვს რათა რუსეთი იქნეს დაშვებული კონფერენციის ყველა სამუშაოებში.

„მორინგ პოსტი“ იუწყება რომ ჯერ კიდევ ლონდონში კონფერენციაზე 1921წ. ლოიდ-ჯორჯმა თავისი პირადი მდივნის პირით ანიშნა ლონდონში მყოფს საბერძნეთის ელჩს, რომ ბერძნებს თამამათ შეუძლიანთ ბრძოლა გამოუცხადონ ოსმალებს, ეს არავითარ უკმაყოფილებას არ გამოიწვევს ინგლისის მხრითო.

— ანგორიდან 1 ნოემბრის თარიღით იტყობინებიან: დღეს დიდმა ეროვნულმა კრებამ, თავის სხდომაზე, რომელიც გაგრძელდა დილიდან საღამომდე ერთხმად დიდი ენტუზიაზმით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოცხადებულია სტამბოლის მთავრობის არსებობის გაუქმება, სულთანის ხელისუფლების მოსპობა და მისი ძალა-უფლების სავსებით ეროვნული კრებისათვის გადაცემა. თანახმად რეზოლიუციისა ეროვნული კრება ირჩევს ხალიფს ოსმანის დინასტიის უფრო ღირსეულ წევრთაგან.

ერთხმად დაადგინეს აგრეთვე, რომ 1-ლი ნოემბერი გამოაცხადონ ოსმალეთის ისტორიულ დღესასწაულად.

— გაზ. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით ანგორის მთავრობის წერილში კონფერენციაზე მოწვევის შესახებ, აღნიშნულია, რომ სმირნა ყველაზე უფრო შესაფერი ადგილია კონფერენციის მოწვევისათვის, მაგრამ ანგორა თანახმაა ლოზანაში კონფერენციის მოწვევისა და სთხოვს მოკავშირეებს იზრუნონ ლოზანასა და ანგორის შორის რადიო ტელეგრაფის მოწყობაზე.

ანგორის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს რათა სტამბოლის მთავრობას წაერთვას უფლება კონფერენციაზე მონაწილეობისა.

## სხვა და სხვა ამბები

### რევოლიუცია ალბანეთში

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ათინის გაზეთების ცნობით ალბანეთში იფეთქა რევოლიუციამ. რევოლიუციონერების მიერ ალყა შემორტყმულ მთავრობის ჯარებმა უკან დაიხიეს ბერათის მიმართულებით. მთავრობა გაიქცა.

### ოსმალეთი.

ანგორის ეროვნულმა ყრილობამ გადასწყვიტა სულთანის გადაყენება და დაადგინა გააუქმოს სახელწოდება „ოტტომანის იმპერია“ და შესცვალოს იგი სახელწოდებით: „ოსმალეთის სახელმწიფო“ ეროვნულ ყრილობას არ ლაუსახელებია გადაყენებულ სულთანის მოადგილე, დაიტოვა რა უფლება აირჩიოს სახელმწიფოს მმართველი, ტრადიციულ დინასტიურ წესის მიუხედავათ. პრესა განმარტავს ამ ფაქტს როგორც წინასწარ ნაბიჯს რესპუბლიკის გამოსაცხადებლათ და აღნიშნავს, რომ თვითონ ოსმალეთის საქმეა თავისი ბედის გადაწყვეტა.

### იტალია

— იტალიის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები იმყოფებიან რეპრესიების მუქარის ქვეშ.

— ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა მუსოლინს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშები.

— იტალიის მინისტრთა საბჭომ მუსოლინი აირჩია ლოზანაში კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ.

— იტალიის გაზეთების ცნობით დანუნციომ და მუსოლინმა ერთმანეთს გაუგზავნეს დეპეშები.

— იტალიის გაზეთებში გამოქვეყნებულია დანუნციოს წერილი როიელშიაც ის იძლევა რჩევას გადასდონ არჩევნები, იმ მიზნით, რომ მთავრობას მისცეს საშუალება მოამზადოს ბაზა მხარის ადსადგენათ.

— იტალიის ბევრ ქალაქებში დატყვევებულია კომუნისტების ლიდერები.




## რაშია საქმე?

ხშირად და თითქმის ყოველდღე შეხვედებით ჩვენს ცხენოსან ლეგიონში ასეთ მოვლენას: საჭიროა არის რომ წითელ-არმიელმა ხელი მოაწეროს ან ჯამაგირის მიღების დროს ან კიდევ სხვა რაიმე შემთხვევებში; მაგრამ ის არ აწერს ხელს და ამბობს „მე წერა არ ვიციო“ და ეს მაშინ, როცა წერაკითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია ჩვენს ნაწილში თითქმის ჩატარდა რაიც 90 პროც. აღწევდა.

წითელ არმიელი ხელს არ აწერს აქ უკვე რაღაცა განზრახვით არის. მაინცა და მაინც რაშია საქმე??? ალბათ ასე ჰგონიათ რომ: ჩვენ თუ წერა-კითხვის ცოდნას გამოვამჟღავნებთ, უფრო დიდ ხანს ვიმსახურებთ ჯარშიო მაგრამ ამხანაგებო, ეს შემცდარი აზრია. თქვენ ამით მხოლოთ და მხოლოთ თქვენს მასწავლებელს უკარგავთ სახელს და მის ღირსეულ მუშაობას არ აფასებთ.

**წიწაკა.**

## კულტურული მუშაობა მე-2-ე ლეგიონში

მე-2-ე ქართულ ლეგიონში კულტურულ განმანათლებელი-მუშაობა ცოტას მოისუსტებდა, მაგრამ ეს არავის უფლებას არ აძლევს, რომ ჩვენზე გაზეთებში სწერონ. ვინც მეორე ლეგიონის კულტ-განმანათლებელი კომისიის მუშაობას გაეცნობა ის მაშინვე იტყვის. რომ ამ პირობებში მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. დღეს კი პირობები გაუმჯობესებულია და კულტ განმანათლებელი კომისიაც ენერგიულად მუშაობს.

25 სექტემბერს მოწვეული იქმნა პოლიტ-სექციის და ბიურო კოლექტივის კრება, რომლის თავჯდომარედ არჩეული იქმნა ამხ- ტაბუტაძე და მდივნად ამხ. უგულავა. დღის წესრიგში იდგა ორი: საკითხი 1. მოხსენნება გამართულ საღამოს შესახებ და 2. დახმარების მიცემა ენერგიულ ღარიბ მომუშავეებზე.

საღამოს შესახებ მოხსენება გააკეთა კომისიის წევრმა ამხ. დოლიძე.

მოხსენებაზე კრება ერთხმად ღებულობს რეზოლიუციას: გამოეცხადოს ულრმესი მადლობა.

როგორც ლეგიონის კომისიას აგრეთვე მთავარ კომისიას, უმთავრესად კი ამხ. ფარეიშვილის და გ. რამიშვილს. ამ დახმარების შესახებ კრება ითვალისწინებს რა ამხანაგების უკიდურეს მდგომარეობას და მათ ენერგიულ მუშაობას ადგენს: მიეცეს ასეთი ერთდროული დახმარება კულტსექციის თანხიდან. 5 ოქტომბერს შესდგა საკლუბო სექციის ხელმძღვანელების კრება. თავმჯდომარედაა ამხ. ბერუჩაშვილი, მდივნადა ამხ. უგულავა.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი:

1, მომავალი გეგმა მუშაობისა, და 2. მეცადინეობის ცხრილის გამომუშავება.

ა.

ფრონტების მოშორების შემდეგ და შედარებით მშვიდობიანი მდგომარეობის დამყარების შესაძლებელი შეიქნა ადგილის, დროისა და პირობებთან შეფარდებული რაციონალური ეკონომიური პოლიტიკის წარმოება სასოფლო და საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და აყვავებისათვის.

შემოღებულ იქმნა ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით სახელმწიფო საშუალებას აძლევს სოფლის მეურნეებს დაამუშაონ რამდენიც შეუძლია მიწა და სახელმწიფოს სასარგებლოთ კი გადასდოს სურსათით განსაზღვრული მცირე პროცენტი. დანარჩენი პროდუქტი სასოფლო მეურნეობისა როგორც სურს ისე მოიხმაროს, თუნდ გააჰყიდოს კერძო ბაზარზე, თუნდ პირადათ დახარჯოს.

გლეხი მაშასადამე იხდის სახელმწიფოს სასარგებლოთ სასურსათო გადასახადს და უდიდესი ნაწილი მისი ნაშრომისა კი რჩება მის განკარგულებაში.

სახელმწიფო ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით თვით უძღვება სახელმწიფო ეკონომიკის უმთავრეს წარმოებებს. ამუშავებს თვითონ ლითონის მაღაროებს და ფაბრიკებს, მის ხელში რჩება ყოველგვარი ტრანსპორტი, უმრავლესი ნაწილი ნახშირის მაღაროების და ნავთის წყაროების, ამუშავებს აგრეთვე ყველა მსხვილ წარმოებას, რომელიც ჯანმრთელია და არ მოითხოვს შეკეთებას და ბევრ ხარჯებს.

ერთი სიტყვით მრეწველობის უმთავრეს ძირითად დარგებს აწარმოებს მუშათა სახელმწიფო.

რუსეთის ეკონომიურ აყვავებას ვერ შესწევს მარტო საბჭოთა მთავრობის რესურსები. საჭიროა იმ ფაბრიკა-ქარხნების ამოქმედებაც, რომელნიც დანგრეულნი არიან და ზოგი ცოტა შეკეთებით და ზოგიც კაპიტალური რემონტის შემდეგ შესაძლებელია ამოქმედდენ. ევროპაში დღესდღეობით არის მეტათ ბევრი კაპიტალი უსაქმოთ გაჩერებული. ისინი დაეძებენ ახალ სამრეწველო საქმეს რუსეთის მუშურ მთავრობა აძლევს მათ ნებას აიღონ დანგრეული და ნახევრათ ჯანსაღი ფაბრიკა-ქარხნები იჯარით და აამუშავონ. რისთვისაც სახელმწიფო მოსთხოვს მოგების განსაზღვრულ პროცენტს. ასეთ პირობებში ბევრი ფაბრიკა-ქარხნები გადაეცა კერძო კაპიტალისტებს და ეხლა რუსეთში თითქმის ამოქმედდა ყველა აქამდე არსებული წარმოებანი.

მთავრობა აძლევს აგრეთვე კერძო კაპიტალისტებს ხე-ტყისა და სხვადასხვა მადაროების დამუშავების უფლებას კონცესიების სახით, რაც ნიშნავს იმას, რომ კერძო კაპიტალი შექმნის ღირებულებებს რუსეთში მუშურ მთავრობის დაუხმარებლათ, აქედან სრულიად უშრომელად სახელმწიფო მიიღებს განსაზღვრულ პროცენტს და დანარჩენის მნიშვნელოვანი ნაწილიც რუსეთის ბაზარზე დატრიალდება. კონცესიები მაშასადამე მუშათა სახელმწიფოს აძლევს უშრომელად განსაზღვრულ ღირებულებას, ბაზარში საქონელს ამრავლებს და ამასთან ერთად ქმნის ახალ წარმოებას, რომელსაც სახელმწიფო თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობაში ვერ შექმნიდა.

ერთი სიტყვით როგორც სჩანს ახალი ეკონომიური პოლიტიკა აძლიერებს როგორც სასოფლო მეურნეობას, ისე ინდუსტრიალურ წარმობას.

**მომავალი პერსპექტივები.**

ორი წელი სრულდება რაც რუსეთის მშრომელმა მასამ სისხლით მოიპოვა შედარებითი მშვიდობიანი მდგომარეობა. მშვიდობიან მდგომარეობაში საბჭოთა რესპუბლიკებმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია სამეურნეო ფრონტს. მთელი ცოცხალი ძალები გადაისროლა სასოფლო მეურნეობის და საქალაქო წარმოების აყვავებისაკენ. თავდადებულმა შრომამ საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. მეურნეობა საერთოდ თანდათან ფეხზე სდგება, პროგრესი ეტყობა. სასოფლო მეურნეობა, შარშანდელი გვალვებით განადგურებული, წელს არაჩვეულებრივი მოსავლით მტკიცე ნიადაგზე დადგა. საბჭოთა რუსეთის კარგი მოსავალი არა თუ შეინახავს მას, არამედ არის შესაძლებლობა საგრძნობი რაოდენობა გადაიცვალოს ევროპაში ტრაქტორებზე და სხვა გაუმჯობესებულ ტეხნიკური საშუალებებზე, რომლებიც ცხადია კიდევ უფრო წინ წასწევს ჩვენის მეურნეობას.

კარგი მოსავალი სასოფლო მეურნეობაში უზრუნველყოფს ქალაქის წარმოებას. ეხლა შეუძლია ქალაქის მუშას დამშვიდებულათ განავითაროს ინტენსივობა თავისი მუშაობისა. ეხლა მთელ საბჭოთა ფედერაციის სივრცეზე ვხედავთ დღითი-დღე ჩვენი მეურნეობის აღდგენის ტენდენციების განვითარებას.

საერთოდ ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმე თანდათან უმჯობესდება.

სამაგიეროთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ეკონომიური კრიზისი კატასტროფიული სისწრაფით მიექანება, რევოლიუციონური დარაზმვა მუშათა კლასისა ხდება არაჩვეულებრივი მაშტაბით. სიკვდილის წინ, ისტორიულად განწირულნი, კაპიტალისტები და მათი ნოქრები ყველა ქვეყნის მენშევიკები, პოლიტიკაში სრულიად გამიშვლდნენ და მოევლინენ საერთაშორისო მუშათა კლასს, როგორც გამხეცებული კლასიური მოწინააღმდეგენი. მუშათა კლასი გრძნობს თავის ისტორიულ მისიის დანიშნულებას და ემზადება რევოლიუციონური შეტევით დაამხოს დახავსებული კაპიტალისტური ურთიერთობა და შექმნას მსოფლიო საბჭოთა ფედერაცია, სადაც შრომა სამუდამოთ იქნება კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლებული.

ისტორია ამ აუცილებელ გარდაქმნისაკენ მიგვაქანებს. კაპიტალიზმი გაიხრწნა. საერთაშორისო კომუნისტურ რევოლიუციის პრაქტიკულათ მჭიდროთ მიუახლოვდით.

**ვ. ხ.**

პირველი საკითხი დაევალა ყველა წრის ხელმძღვანელებს თანახმად ინსტრუქციისა, შემოიტანონ თავიანთი მუშაობის გეგმა.

მეცადინეობის ცხრილის გამომუშავების გარშემო კრება ადგენს: დაევალოს კლუბის გამგეს, დაჩქარებით შეიმუშაოს გეგმა. ამავე დღეს, საღამოს, შესდგა სექციების გამგეების და წრის ხელმძღვანელების კრება,—თავმჯდომარეობდა ამხ. ბახტაძე, მდივნობდა ამხ. უგულავა.

განსახილველი იყო მხოლოთ ერთი საკითხი: შემოსულ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

კრება ადგენს: მიეცეს სამხატვრო სტუდიას ხუთი მილიონი მანეთი; სამხედრო სპორტის ხელმძღვანელს, სპორტის ნივთების შესაძენად თხუთმეტი მილიონი მანეთი და დრამატიული სტუდიის ხელმძღვანელს სცენის მოსაწყობად ორმოცდაათი მილიონი მანეთი.

ყარაჩოღელი.

## ერთგული მომუშავენი

მც. მდლ. ათასეულში მოიპოვება ისეთი კეთილი და პატიოსანი მომუშავენი, რომლებიც ღირსია აღინიშნოს გაზ. „წითელ არმიელის“ ფურცლებზე. ეს არის პოლიტხელი ამხ. აბუთიძე, თუმცა წყნარი გაუბედავი, მაგრამ ენერგიული და დაუღალავი მუშა. მეორე კი წიგნსაცავ სამკითხველოს გამგე, ყოფილი კურსელი ამხ. მაჩიტაძე, რომელმაც საბიბლიოთეკო საქმე თავის დანიშნულების სიმაღლეზე დააყენა. გამოსულებმა მუშათა წრიდან შესძლეს გამოენახათ საერთო ენა წითელ არმიელებთან და ამიტომ დაიმსახურეს მათი ყურადღება. ამხანაგებს შეუძლიათ საქმის უფრო კარგად დაწყება, რომ მდგომარეობა ხელს უწყობდეთ.

დუბლიკატი.

### მოხსენება 26 კომუნარის დახოცვის შესახებ.

„სამშაბათს 12 ოქტომბერს შესდგა 1-ლ ლეგიონის წითელ არმიელთა და უფშემადგენლობის საერთო კრება სადაც ამხ. დუმბაძემ გააკეთა მოხსენება 26 კომუნარების, რეაქციონერების მიერ დახოცვის შესახებ. რის შემდეგ კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია. კრების დასასრულ გამართულ იქნა წარმოდგენა. დადგმულ იქნა „კომუნისტი ქალი“

სამხკორი გ. ბ—ძე.

## პარტიული ცხოვრება

1-ლ მსროლელ ქართულ ლეგიონის ტყვიისმფრქვეველ გუნდის კომუჯრედის კრებამ, რომელიც მოხდა 19 ოქტომბერს ელიაშვილის მოხსენებაზე, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ კომპარტიის წევრნი უცხადებთ ზიზღს ესერების, მემარჯვენე ფედერალისტების და მენშევიკების მოქმედებას და სიკვდილი მათ ბელადებს: მარტოვს, ჩერნოვს, წერეთელს, ჩხეიძეს და სხვებს. რომელთა პოლიტიკის მეოხებით იყვნენ მოტყულებულნი მშრომელი ხალხი. მაგრამ გაუგო რა მუშათა კლასმა ამ ვაჟბატონებს გამყიდველობა—ჩამოეცალა და სამუდამოდ განდევნა ისინი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიიდან, როგორც მოღალატენი. ჩვენ ფიცსა ვსდებთ კომპარტიის წინაშე, რომ ვიბრძოლებთ გამყიდველ ცრუ სოციალისტების წინააღმდეგ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მშრომელი ხალხის საკეთილ დღეოთ. ამასთანავე მოუწოდებთ მთელ მსოფლიო მუშათა კლასს, რომ მათაც გაამაგრონ მშრომელ ხალხის დამცველი პარტიის, კომპარტიის რიგები და ერთხელ და სამუდამოთ ჩასცენ მახვილი სოციალ გამყიდველებს, რომლებიც დღეს კიდევ იმპერიალისტების დახმარებით დასავლეთ ევროპაში აწამებენ ჩვენს ამხანაგებს.

სიკვდილი მშრომელი ხალხის გამყიდველთ!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს მე-3-ე კომინტერნს და მის დამცველ პროლეტარულ რაზმს წითელ ლაშქარს!?

ტყვიისმფრქვეველ გუნდის წით.-არმიელი ი. საგანიძე.




## სადესანტო ოპერაციები შავი ზღვის ნაპირებზე.

ოპერაციის მეცმას აქვს დასაწყისში სამი მთავარი მოცემულობა: 1) სადესანტო ოპერაციის იდეის შექმნა და მისი მიზნები. 2) გამორკვევა მისი რაოდენობის და 3) ამორჩევა სადესანტო რაზმების გადმოსხმისა.

1) სადესანტო ოპერაციის იდეის შექმნა უნდა გამომდინარეობდეს იმ საერთო მდგომარეობისაგან, რომელსაც განიცდის საველე მომქმედი ჯარი, საომარ მოქმედების დროს დესანტის რაზმების გადასხმისათვის საჭიროა ადგილ მდებარეობის შესწავლა, საზღვაო ნაპირების გათვალისწინება და რასაკვირველია, მასთან ერთად გეოგრაფიული მდებარეობის შესწავლაც. ჩვენ რომ სადესანტო საკითხები შევისწავლოთ საჭიროა, შევეხოთ ისტორიულ მაგალითებს რასაკვირველია უკანასკნელ იმპერიალისტურ ომების. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის მსურველობითი მხარე სადესანტო ოპერაციებისა, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის ჯარები კავკასიის ფრონტზე 1916 წ. ტრაპეზონის მიდამოებში 1916 წ. დასაწყისში რუსის ჯარებმა, როგორც მოგეხსენებათ შეტევა დაიწყო მთელ კავკასიის ფრონტზე, შეავ წროვა, რა მე-3-ე ოსმალეთის ლაშქარი აიღო აზრუმი. მოგეხსენებათ რომ, ეს შეტევა ზამთარში მოხდა და რასაკვირველია, ძნელ პირობებში აგდებდა რუსის ლაშქარს. მაგრამ უმთავრესი მიზეზი ამისა, იყო ის გარემოება, რომ ინგლისელების ოპერაცია, რომელსაც ეს უკანასკნელნი აწარმოებ დენ დარდანელის სრუტესთან სრული მათი დამარცხებით გათავდა. ამან კი, შეძლება მისცა ოსმალოებს განთავისუფლებულიყვნენ ამ ოპერაციებისაგან და თავისი ჯარები კავკასიის ფრონტზე გადაეგზავნათ, ამ ფრონტის გასამაგრებლად და გასაღონიერებლად. მაგრამ სანამ ამ მიზნებს სისრულეში მოიყვანდნენ ოსმალები, რუსის სარდლობამ გადასწყვიტა უკანასკნელი შეტევა მოეხდინა, რომელიც დროზე იქნა შესრულებული. ამიტომ მოხდა სწორედ რომ რუსებმა აიღეს აზრუმი, წაიწიეს სამხრეთით და ბაიბურთის აღმოსავლეთით შეჩერდნენ. ვინაიდგან დამარცხებულ იქნა მე-3-ე ოსმალეთის ლაშქარი რუსის ჯარს გზა გაკაფული ჰქონდა ანატოლიისაკენ ე. ი. სივასისაკენ, აგრეთვე სირიისაკენ (ალეპოსაკენ) და მესოპოტამიისაკენ (მოსულისაკენ) ამის შემდეგ, რუსის ჯარებმა დაიწყეს ზურგის გამაგრება და ფრონტისაკენ გზების გაყვანა, ვინაიდგან ასეთები წინად არ იყო, და გაყვანილ იქნა რკინის გზა სარიკამიშიდან არზრუმისაკენ.

(შემდეგი იქნება)

ალ. გორ—ძე.

## კოოპერაცია.

### კოოპერაციის შესახებ

(მოხსენება საინჟენერო ათასეულის კომუჯრედის მორიგ ღია კრებაზე ე. გოგოლაძის მიერ გაკეთებული.)

ისინი მსჯელობდნენ, რომ მდიდრები უფრო სასარგებლოა მათთვის, ვინაიდან მას მეტი ფულის შემოტანა (ვაჭრობა) შეუძლია და ამიტომაც მეტ კოოპერაციულ ძალას წარმოადგენსო.

იმათ ვერ წარმოედგინათ, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია ღარიბთათვის არის საარსებო მოთხოვნილება და მდიდრებისათვის კი ეს შესაქცევი საგანია, ვინაიდან მდიდარს შეუძლია ყოველგვარ კერძო ვაჭრებისაგანაც იყიდოს ძვირი და მისი გემოვნების საგნები, რისთვისაც სამომხმარებლო საზოგადოებებში შეკავშირება მათთვის ნამდვილ მოთხოვნილებას არ წარმოადგენს. მე ვთქვი, ამხანაგებო, რომ კოოპერაცია ღარიბთა წრეში გაჩნდა თქო სულ თავდაპირველად, რადგანაც ამაზე იძულება ადგათ მათ ცხოვრებისაგან მიყენებული. მაგრამ მოყვანილ მაგალითში თითქოს ეს ასე არ გამოდის და რუსეთში კოოპერაცია პირველად მდიდრებს დაეარსებიოს. იყო თუ არა ამის მიზეზი გაჭირვება? რა თქმა უნდა ეს გაჭირვებისაგან ნაკარნახევი არ იყო. ეს სულ სხვა მიზეზებმა გამოიწვია. ეს მიზეზი კი იმაში იყო, რომ მესამოცე წლებში საზოგადოება მიილტვოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი, ვინაიდან ყველა ევროპიული მოძრაობა ძლიერ ვრცელდებოდა იმ დროინდელ რუსეთის ინტელიგენციაში. როგორც ზემოთ არის ნათქვამი, დასავლეთ ევროპაში საკოოპერაციო აღმშენებლობამ მაგრათ მოიკიდა ფეხი იმ ხანაში. აი ამან გამოიწვია ინტელიგენციაში კოოპერატივისადმი მისწრაფება.

აქედან აშკარათ სჩანს, რომ ის არ იყო გაჭირვებით მიყენებული მოვლენა, როგორიც ეს დავინახეთ ჩვენ სხვა კოოპერატივების ისტორიულ მაგალითებიდან. გამოდის, რომ კოოპერაცია „ბერეჟლივოსტ“ს“ ეკონომიურ-სოციალური საფუძველი არ ქონებია. და სწორეთ ასე გამოდგა ეს. ერთდროს, ეს მდიდრულ საფუძველზე აგებული საზოგადოება იძულებული შეიქნა კარები მიეხურა და ლიკვიდაცია ექნა თავისი საქმეებისათვის 1872 წელში, არსებობის მეექვსე წელს. ასეთია პირველ პერიოდის ყველა სამოქალაქო სამომხმარებლო კოოპერაციის ისტორია რუსეთში.

აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ თუმცა უფულოდ საქმე არ გაკეთდება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ფულზე არ ყოფილა დამოკიდებული კოოპერაციის დაწინაურება. ეს მაგალითიდან სჩანს. აბა რა ძალა ადგა მდიდარს, რომ ის მაინც და მაინც თავისი კოოპერატივის მომხმარებელი (მხარჯველი) ყოფილიყო. იმისთვის ხომ სულ ერთი იყო, სადაც არ უნდა ეყიდნა, რაც მას სურდა, რადგანაც ის, როგორც მდიდარი, ხარჯს არ ერიდებოდა. ამიტომაც იყო, რომ მათ არ გაეგებოდათ თავისი დუქნიდან საქონლის ხარჯვის (ყიდვის) მნიშვნელობა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ბევრი წევრთაგანი ამბობდა: „წევრათ შევალ, საწევრო ფულს შევიტან, საქონელს კი სადაც მინდა იქ ვიყიდიო.

რასაკვირველია, რომ ამაში ისინი სცდებოდნენ, ძირს უთხრიდნენ სამომხმარებლო საზოგადოების არსებობას და, როგორც დავინახეთ, კიდევაც გამოეთხარა. ჩვენ ვიცით, რომ ყველა კერძო ვაჭარი დამოკიდებულია მყიდველზე ე. ი. მომხმარებელზე. თუ ვაჭარს მყიდველი (მუშტარი) არ ყავს, იგი ვერ იარსებებს. ამიტომ ვაჭარი ყოველნაირი ხრიკებით იზიდავს მყიდველთ. მას შემდეგ კი როდესაც მყიდველნი თვითონ აწყობენ მომხმარებელთა საზოგადოებას (კოოპერაციას, სავაჭროს, და, მაშასადამე ჩამოცილდებიან კერძო ვაჭრებს, საზოგადოების მომავალი დამოკიდებულია მხოლოდ მათ მოქმედებაზე. მოქმედება კი იმაზე უნდა იყოს მიმართული, რომ კოოპერატივის წევრმა ერთი კაპეიკიც კი არ უნდა დახარჯოს კერძო ვაჭრების დუქანში. ყოველთვის და გამუდმებით ის უნდა ყიდულობდეს ყოველივეს, რაც კი მას დასჭირდება, თავის საკუთარ კოოპერატივში. ვინძლოა თუ იმ ჟამათ წევრისთვის საჭირო საგანი კოოპერატივს არა აქვს, წევრი აცხადებს, რომ შეძენილ იქნას ეს საგანი და, თუ შესაძლებელია მისთვის, იცდის კიდევაც, სანამ ეს საჭირო საგანი მის დუქანში არ გაჩნდება. თუ კოოპერატივის წევრი თავის ფულით განზე ივაჭრებს, ის აძლიერებს კერძო ვაჭარს და ასუსტებს საზოგადოების ვაჭრობას წევრებთან. ამ დასუსტებამ შეიძლება იქამდის მიაღწიოს, რომ განმეორდეს „ბერეჟლივოსტ“ის ისტორია. კოოპერატივის სიძლიერე იმაშია, რომ ის დაწეულ ფასებში ვაჭრობს წევრებთან. ამნაირათ, ის განსხვავება, კოოპერატივის და კერძო ვაჭრების ფასებში, რჩება კოოპ. წევრს. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, იმ ფულით, რომლითაც კერძო ვაჭრისაგან ვყიდულობთ რაიმე საქონელს, მაგალ. გირვან. პურს, კოოპერატივში ვიყიდით გირვანქაზე მეტს. აქედან მყიდველს რჩება ან ფასის განსხვავება, ან იძენს მეტ პურს. ეს წესი ვერ დაიცვა „ბერეჟლივოსტ“მა და კიდევაც მოკვდა ის.

(გაგრძელება იქნება)




## ვაი უის ხმაზე.

1-ლი წ. არმიელი:
გამარჯობა შენი
ამხანაგო ზაქრო,
რომ აღარსად სჩანდი
ბიჭო რომ გაგაქრო.

2-რე წით. არმ.:
მე №-რ ნაწილში
ძალიან გიახელი,
ზოგიერთ „ნაჩხოზებს“
გაულიათ ხელი.

იქ ჩვენ გაგვაგზავნეს,
როგორც კომისია,
და რომ განვიხილეთ
დავთარი და სია,—

ბევრს შეურცხვენია
თავისი ნამუსია,
და მით ჯიბეები
კარგათ გაუვსია;

მაგრამ მე მაქვს ლხენა
ჩემო ალექსანდრე,
ისეთ ადგილს ჩავსვით
ვერ გამოვლენ ადრე.

და იცი ისინი,
რით ჩავიგდეთ ხელში?
მათ საყვედურს სწერდნენ
„წითელ— არმიელში“,

1-ლი წ.-არმ.:
მე ის მომწონს გაზეთის
„წითელ არმიელის“,
რომ ისეთ დროს დაჰკრავს,
როცა არ მიელის.

მისგან არ ასცდება
რისხვა საშინელი,
თუ ვინმემ „იმასქნა“
ფული ან შინელი.

წინად თუ გინახავს
როდისმე ასეთი,
დილით ყველა „ნაჩხოზს“
ხელში აქვს გაზეთი.

და შუბლზე ჩამოსდის
ოფლის ნიაღვარი
ეშინია რომ შიგ
ჰპოვოს თავისი გვარი.

2-რე წ.-არმ.:
დავანებოთ ძმაო
ეხლა იმათ თავი,
აწ შენ მომიყევი
მსოფლიოს ამბავი.

1-ლი წ. არმ.:
ყველა ომისათვის
ღრინავს და მზად არი:
ბერძნებს სულ ტყავს აძრობს
მუსტაფა თათარი.

2-რე წ. არმ.:
მაგრამ ქემალს სტანჯავს
იმ ანტანტის ქსელი,
სრუტეებში ისევ
მეფობს ინგლისელი.

1-ლი წ. არმ.:
ყოველ წუთში აბრუნებს
შვება დრო და ბორჯი,
როგორ გაბითურდა
ხედავ, ლოიდ-ჯორჯი.

ბევრს კი მოეწონა
შემთხვევა აგეთი
და განსაკუთრებით
ხარობს საფრანგეთი.

2-რე წ. არმ.:
მთელი იტალია
ეხლა ფეხზე დგანა
ფაშისტების ჯარი,
ხუმრობაა განა!?

1-ლი წ. არმ.:
ამერიკელები
სთვლიან თავის ხარჯებს,
მათ გერმანელები
უწოდებენ ჩარჩებს.

2-რე წ. არმ.:
იცი კვლავ ახალი
იხარშება ქაში,
პან-არაბისტები
შემოკრბენ მექქაში.

ყველა ორატორი
ბრაზით შლიდა ხელებს,
ამბობდნენ—ვებრძოლოთ
ჩვენს მტრებს, ინგლისელებს.

1-ლი წ. არმ.:
შენ ვლადივასტოკის
გაიგე ამბავი?—
იქ წითელმა ჯარმა
დაამარცხა შავი.

2-რე წ. არმ.:
მალე მის ბედს ნახვენ,
ყველა მუშის მტერნი,
ყველგან გაიმარჯვებს
ჩვენი კომინტერნი.

ია—ფა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო.

თქვენს პატივცემულ გაზეთში ოქტომბრის 8 და 13 რიცხვში იყო ჩემს წინაამდეგ ვიღაც „ალიკოს“ წერილები რომელიც ბრალს მდებს მე, № შეერთებული დივიზიონის უფროსს ექიმს პაშკოვს, დაუდევრობაში, 12 საათის შემდეგ ქსენონში მისვლაში, ავადმყოფების უყურადღებოთ დატოვებაში, ბანაკიდან ხშირათ თბილისში წასვლაში, სოფლებში სიარულსა და სოფლელების ყვლეფაში.

უნდა აღვნიშნო, რომ დივიზიონში მე მყავს ერთი თანაშემწე და სამი ექიმის თანაშემწენი. ესენი აწარმოებენ ავადმყოფთა მიღებას. ჩემი მოვალეობა არის: საერთო განაგება; ე. ი. სამწერლოს წარმოება, წამლების გამოწერა საწყობიდან, ბატარეებში წამლების დარიგება, მათი ანგარიშის გაწევა, ქსენონის, საავადმყოფოს შეცდომათა და დანაკლისის გასწორება, ახალ ქსენონის და სადეზინფექციო კამერების დაარსება და სხვა მრავალი დავალება. რომელიც აქვს საერთოდ დაკისრებული უფროს ექიმებს. მიუხედავათ ამგვარი მოვალეობისა არ ყოფილა შემთხვევა, რომ ავადმყოფი ჩემთან მოსულიყოს და მე უარით გამესტუმრებინოს.

თბილისში ვიყავი სამჯერ, მაგრამ არა პირად საქმეებზე. პირველათ დივიზიის უფროსის ბრძანებით № 5226, მეორეჯერ დეპეშით დამიძახა დივიზიის უფროსმა ზოგიერთ საკითხების გამოსარკვევათ და მესამეთაც პირველი საკითხის დასამთავრებლათ—საინჟენერო დისტანციაში ხე-ტყის მასალების მისაღებათ ახალი ოთხ ოთახიანი ქსენონის ასაშენებლათ და მოსაწყობათ. ეს ქსენონი უკვე მზათ არის და იმყოფება დიდი მთავრის ქუჩაზე № 26, რისთვისაც დივიზიის ექიმისაგან მადლობაც კი მივიღე.

ახლა სოფლელების ყვლეფაზე და სოფლად სიარულზე.

მართალია მე სოფლებში მივყავდი ხანდახან მცხოვრებლებს, მაგრამ იმ დროს როდესაც ჩემი სამსახურის მოვალეობა მისრულებული მქონდა. მთელი სოფელი მალარიით და ყვავილის ავადმყოფობით იყო დასნეულებული. სხვა ექიმი არ იყო და როდესაც მთხოვდნენ, რომ არ წავსულიყავი თავის გამართლება არაფრით არ შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს მე მგონია კანონით კერძო პრაქტიკა ჯერ აკრძალული არ არის. გასამრჯელოთ მე მცხოვრებლებს არ „ვყვლეფდი“ ვინაიდან ბევრი სიღარიბის გამო არაფერს არ მაძლევდა და ზოგიერთებს კი ცოტაოდენი კარაქი და კვერცხები მოქონდა. ეს მცირე შრომის „ფასი“ მე მგონია ხალხის ყვლეფად არ უნდა ჩაითვალოს.

„ალიკო“ მაშინ სად იყო, როდესაც ქსენონი არ გვქონდა და წითელ-არმიელებს ერთ ჩესტიან ოთახში ვლებულობდით, და რიგში მდგარი ავადმყოფები კი სიცივეში გარეთ იცდიდენ; ეხლა კი მშვენიერი სამი ქსენონია გახსნილი სწორეთ ჩემი ინიციატივით და შრომით, რომელზედაც ის არაფერს ამბობს. მაშასადამე მე ვფიქრობ აქ ბ. „ალიკოს“ კერძო ინტერესი ალაპარაკებს და არა სიმართლე.

№ შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის უფროსი ექიმი:

პაშკოვი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორი—ვ. ქუთათელა.